



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



KFW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N18
იანვარი, 2022

ვირტუალური წყალი და წყლის ანაბეჭდი


წყალი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კულტურული და ეკონომიკური განვითარება კავშირშია წყლის მზარდ მოთხოვნასთან, რასაც ართულებს შეზღუდული და მწირი რესურსები. შეზღუდვები კიდევ უფრო იზრდება კლიმატური ცვლილებების, რესურსების არაეფექტური გადანაწილების და დანაკარგების ფონზე.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სტრატეგიები, კონცეფციები და ტექნიკური მიდგომები, რომლებიც გამოყენებულ იქნება ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით და შესაბამისი პროგნოზებით. კერძოდ, მიდგომებით რომლებსაც წყლის უსაფრთხო და რაციონალურ გამოყენებამდე მივყავართ - წყლის მოხმარების გაზომვა, ასევე სისტემის მართვის თანამედროვე სტრატეგიები, ადეკვატური ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა, რომელთა დროსაც აქცენტი რესურსების ეფექტურობაზე კეთდება.

წყალს, რომელიც ნებისმიერი პროდუქტის წარმოების პროცესში გამოიყენება, ვირტუალურ წყალს უწოდებენ. მაგალითად, აჭარის სოფლებში აღნიშნულში მოიაზრება წყალი, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მორწყვის, ან რძის წარმოების და ყველის დასამზადებლად. 1 კგ ყველის საწარმოებლად, რომელიც მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ მთავარ საკვებ პროდუქტს წარმოადგენს, 5,000 ლიტრი ვირტუალური წყალია საჭირო. წყლის მოცულობათა ჯამს, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ გამოიყენება პროდუქტის, ან მომსახურების საწარმოებლად, აღნიშნული პროდუქტის, ან მომსახურების წყლის ანაბეჭდი ეწოდება. წყლის ანაბეჭდი საუკეთესო გზაა წყლის მოხმარების რეალური მაჩვენებლის წარმოსადგენად.

აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში მომზადებულია და ვრცელდება ინფორმაცია წყლის მწირი რესურსების ოპტიმიზებული გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ეს არა მარტო დაეხმარება ოჯახებს მოხმარებული წყლის რაოდენობის შემცირებაში, არამედ დადებითად იმოქმედებს წყლის გონივრული და ოპტიმიზებული გამოყენების მიმართულებით აჭარის სოფლებში ნებისმიერი წარმოების პროცესში.

აჭარის სოფლებში, წყლის რესურსების დაცვა და შენარჩუნება მნიშვნელოვანი მიზანია. წყლის მოხმარების ოპტიმიზაცია (ადეკვატური წყალმიღები, წყლის ახალი გამანაწილებელი ქსელები, წყლის სათანადო დამუშავება და დეზინფექცია, არასრულფასოვანი სისტემების ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული დანაკარგის შემცირება და მოხმარების ჩვევების შეცვლა) სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. წყლის რესურსების განვითარებისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის დანერგვის საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება უზრუნველყოფს წყლისა და წყალარინების სისტემების გამართულ მართვას. განახლებული სისტემები ხელს შეუწყობს მოხმარებული წყლის რეალური მოცულობის შემცირებას. ვირტუალური წყლის შემცირება შესაძლებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით და წყლის დაზოგვის ტექნიკებისა და უნარების დანერგვითა და გამოყენებით.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N18

January, 2022


VIRTUAL WATER AND WATER FOOTPRINT

Water is an integral part of human life. Cultural and economic development is linked with an increase in demand for water which is becoming more and more challenging the limited, and even scarce resources. The limitations are further increasing, based on climate change and very inefficient distribution, usage patterns and wastage.

The Ajara Rural Water Supply and Wastewater Program has developed strategies, concepts and techniques that will be applied anticipating and considering the above-highlighted aspects. Particularly the approaches that lead to careful and rational water usage and the metering of water consumption as well as modern system management strategies and adequate operation and maintenance emphasis is given to resource efficiency.

Water that is used in the production process of any product is called virtual water. For rural Ajara, for instance, this signifies water utilized for irrigation of agricultural produces or the production of milk and processing of cheese. For 1 kg of cheese, one of the main food products of highland Ajara, up to 5,000 litres of virtual water is needed. The sum of the direct and indirect volumes of water used to produce a product or service is called the water footprint of a given service or product. The Water footprint is the best way to show the real water consumption rate. In the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program information is prepared and disseminated to raise awareness about the optimized usage of scarce water resources. This will not only help families to reduce water consumption in the household but will also positively impact the reasonable and optimized usage of water in all production processes in Rural Ajara.

In Rural Ajara, the protection and preservation of water resources is an important objective. The optimization of water usage (adequate intakes, watertight new distribution networks, proper treatment and disinfection of water, reduction of wastage by underperforming systems and changing consumption pattern) of water consumed forms a fundamental part of the Rural Water Supply and Wastewater Treatment Program. International and local experience in the development of water resources and the introduction of modern infrastructure ensures the proper management of water and wastewater systems. Upgraded systems will help to reduce the actual volume of water consumed. The reduction of virtual water is possible by increased awareness of the inhabitants and the introduction and application of water-saving techniques and skills.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

“Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara” is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

“Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara” is being implemented by the JSC “Ajara Water Alliance”.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.